ხელშეკრულება N 03
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **05 იანვარი 2017წ.**

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ჰერმესი“ (ს.კ.:202888349) (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის მ. ძაგანიას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. “სიტი პარკი“ მისი გენერალური მენეჯერის ზინიამინ ლაჰავ-ის სახით, (საიდ. კოდ: 204543770), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შ.პ.ს. „ჰერმესი“-ს საკუთარი შემოსავლებით, ავტომანქანების პარკირების მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის, ა ქვეპუნქტის საფუძველზე.

მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი (CPV 98300000;)
2.1. ხელშეკრულების ობიექტია დანართი N1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისი პარკირების სისტემაში გააქტიურება.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. პარკირების მომსახურების შესყიდვა განხორციელდება 15 ერთეულ ავტომანქანაზე, ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 ლარს.
3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 750 ლარს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
4.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემდეგ, ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები
5.1 მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის“ მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.
5.2. ანგარიშწორება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
6.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6.2. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებში ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი
7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედეას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
7.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
7.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შეასხებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შ.პ.ს. „ჰერმესი"-ს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების წარმომადგენლები.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა
10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0.1%-ის ოდენობით ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 11. სხვა პირობები
11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშრებული ნებისმიერი მიმოწერაშესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმთაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2018 წლის 05 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი:**
შ.პ.ს. „ჰერმესი"	**შ.პ.ს. „სიტი პარკი""**
ს.კ: 202888349	ს/კ: 204543770
მის: ქ. თბილისი, დიღმის პლატო, დიდგორის ქუჩის მიმდებარედ	მის: თბილისი, კანდელაკის ქ. N47
ტელ: 2212184; 2212194. 577277740	სს „ბანკი რესპუბლიკა"
თიბისი ბანკი	ბანკის კოდი: REPLGE22
ბანკის კოდი - TBCBGE22	**ა/ა GE90BR 0000 0106 0861 8945**
ანგარიშსწორების ანგარიში - GE64TB 7341 0360 2010 0002	**გენერალური მენეჯერი**
დირექტორი	**ბინიამინ ლაპვე**
მიხეილ ძაგანია	
_____	_____

ავტო-სატრანსპორტო საშუალებების სახ. ნომრების ჩამონათვალი:

1. HER-111
2. NXN-802
3. NXN-861
4. NXN-862
5. FCF-464
6. FCF-455
7. FCF-466
8. VWW-417
9. VWW-418
10. YFY-266
11. IPI-695
12. HER- 123
13. VIV-676
14. LF074LF
15. TG047GT

შ.პ.ს. „ჰერმესი“
დირექტორი მ. ძაგანია